რეგ. № _____ **თარიღი:** __ _____ __

(ივსება შპს „საქართველოს მელიორაციის“ ოპერატორის მიერ)

განაცხადის ფორმა სარეკომენდაციო ხასიათისაა
შემუშავებულია მარეგულირებელი კომისიის (სამეკი), რეგულირების განვითარებისა და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ, 20/05/2024

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

შპს „საქართველოს მელიორაციას“
შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგის ცვლილება
(წყალმომარაგების ოპერაციის სხვა პერიოდზე გადატანა, დამატება ან გაუქმება)

განმცხადებლის საყურადღებოდ!

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს წესებით განსაზღვრული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგი შესაძლოა შეიცვალოს შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და მომხმარებლის ურთიერთშეთანხმებით, ასევე ცალმხრივად, მხოლოდ „საირიგაციო წყლის მიწოდების წესებით“ პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მომხმარებელს, შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგით გათვალისწინებული წყლის მიწოდებაზე უარის თქმა, ან წყლის მიწოდების მოცულობის შემცირება ცალმხრივად შეუძლია აღნიშნულის შესახებ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 20 კალენდარული დღით ადრე მაინც შეტყობინების შემთხვევაში.

შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგის შეცვლა დასაშვებია, თუ ცვლილება არ გამოიწვევს სხვა მომხმარებელთა პირობების დამძიმებას და გაუარესებას. შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგის შეცვლის შესახებ მოთხოვნაზე, მიმწოდებელი ვალდებულია 3 სამუშაო დღეში მოკლე შეტყობინებით დაუდასტუროს მომხმარებელს განრიგის შეცვლის შესახებ (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში), ხოლო უარის შემთხვევაში ასევე უნდა გაუგზავნოს დასაბუთებული პასუხი (წერილობით ან ელექტრონულად).

მომხმარებელს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგის ცვლილება:

ა) შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგით გათვალისწინებული კონკრეტული ოპერაციის სხვა პერიოდზე ერთჯერადად (მაგრამ არაუმეტეს ორი კვირის ვადით) გადატანის შემთხვევაში – 10 კალენდარული დღით ადრე მაინც მოთხოვნისას;

ბ) შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგით გათვალისწინებულ პერიოდში წყლის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მიუწოდებელი წყლის სხვა პერიოდზე ერთჯერადად (მაგრამ არაუმეტეს სამი კვირის ვადით) გადატანა – ამ ფაქტის დადგომიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, მიუწოდებელი წყლის სხვა პერიოდზე გადატანის მოთხოვნის შემთხვევაში.

გარანტირებული წყლის მოცულობის აუთვისებლობის შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელმა შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგით გათვალისწინებულ წყლის მიწოდებაზე უარი თქვა, ან წყლის მიწოდების მოცულობის შემცირება მოითხოვა ზემოთ მოცემული ვადების დარღვევით და ვერ მოხდა მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმება განრიგის ცვლილებაზე, შპს „საქართველოს მელიორაცია“ უფლებამოსილია მომხმარებელს დაარიცხოს აუთვისებელი წყლის მიწოდების ღირებულების 10%.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში, განმცხადებელი არ მიიღებს SMS-ით განაცხადის რეგისტრაციის თარიღსა და ნომერს, პირველ რიგში, უნდა მიმართოს მომსახურე საწარმოს ცხელი ხაზს. განმცხადებელი უფლებამოსილია, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებ გვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216.

განაცხადის შევსების თარიღი („_____“ „_____“ 20___ წელი)
განცხადების ადრესატი: შპს „საქართველოს მელიორაცია“;

I. პირადი და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები:

1. განმცხადებლი:_____;
(სახელი, გვარი ან იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სახელი (სახელწოდება)
2. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:_____;
3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:
   3.1. მისამართი:_____;
   3.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე ან ელექტრონულ მისამართზე:

   __-__-__-__-__-__ - ძირითადი;
   (მობ. ნომერი)

   __-__-__-__-__-__ - ალტერნატიული;
   (მობ. ნომერი)

   3.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი (სურვილის შემთხვევაში)

   _____ @ _____ - ძირითადი;
   (ელექტრონული ფოსტის მისამართი)
4. არსებული აბონენტის (მიწოდების წერტილის) №:_____;
5. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი ან მიმწოდებლის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი:_____;

6. უმრავი ქონების მოკლედ აღწერილი მისამართი/ადგილმდებარეობა სადაც ხდება წყალმომარაგება:_____;
7. შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგის რეგისტრაციის: №_____, და თარიღი: „ “ „ “ 20 წელი;

II. ძირითადი ინფორმაცია

8. შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგის ცვლილებით მოთხოვნილია (შესაძლებელია ერთდროულად შეივსოს 8.1., 8.2. და 8.3. ქვეპუნქტები):

8.1. ☐ **არსებული (შეთანხმებული) ოპერაციის სხვა პერიოდზე გადატანა: (ამ ველის მონიშვნისას შეავსეთ ცხრილი №8.1.)**

ცხრილი №8.1.

	ოპერაციის სხვა პერიოდზე გადატანა მოთხოვნილია:	**შეთანხმებული (მოქმედი) პერიოდი**	**სასურველი პერიოდი** (არ უნდა ემთხვეოდეს შეთანხმებული განრიგით გათვალისწინებულ სხვა ოპერაციის პერიოდს)
☐	8.1.1. წყლის მიუწოდებლობის გამო - ამ ფაქტის დადგომიდან 5 კალენდარული დღის ვადაში	_____ (☐ 1-15; ☐ 16-31) თვე	_____ (☐ 1-15; ☐ 16-31) თვე (შეთანხმებული პერიოდიდან სამი კვირისა)
☐	8.1.2. ოპერაციის დაწყებამდე 10 კალენდარული დღით ადრე	_____ (☐ 1-15; ☐ 16-31) თვე	_____ (☐ 1-15; ☐ 16-31) თვე (შეთანხმებული პერიოდიდან ორი კვირისა)
☐	8.1.3. ოპერაციის დაწყებამდე 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით ადრე[1]	_____ (☐ 1-15; ☐ 16-31) თვე	_____ (☐ 1-15; ☐ 16-31) თვე (შეთანხმებული პერიოდიდან ორი კვირისა)

8.2. ☐ **ოპერაციის დამატება: (ამ ველის მონიშვნისას შეავსეთ ცხრილი №8.2.)**

ცხრილი №8.2.

ოპერაციის დამატება მოთხოვნილია:	**სასურველი პერიოდი** (არ უნდა ემთხვეოდეს შეთანხმებული განრიგით გათვალისწინებულ სხვა ოპერაციის პერიოდს)
8.2.1. მიზეზის მოკლე აღწერა: _____;	_____ (☐ 1-15; ☐ 16-31) თვე

8.3. ☐ **ერთი ან რამდენიმე ოპერაციის გაუქმება[2]: (აგრეთვე შეავსეთ ცხრილი №8.3.)**

ცხრილი №8.3.

	ოპერაციის გაუქმება მოთხოვნილია	**შეთანხმებული (მოქმედი) პერიოდი**
☐	8.3.1. ოპერაციის დაწყებამდე 20 კალენდარული დღით ადრე	_____ (☐ 1-15; ☐ 16-31) თვე
☐	8.3.2. ოპერაციის დაწყებამდე 20 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით ადრე[1]	_____ (☐ 1-15; ☐ 16-31) თვე

8.4. ☐ **დარჩენილი ყველა ოპერაციის გაუქმება: (ამ ველის მონიშვნისას შეავსეთ ცხრილი №8.4.)**

ცხრილი №8.4.

	დარჩენილი ოპერაციის გაუქმება მოთხოვნილია	**შენიშვნა**
☐	8.4.1. ოპერაციის დაწყებამდე 20 კალენდარული დღით ადრე	*მიმწოდებელმა უნდა გააუქმოს ოპერაცია. ამასთან, წლიური მომსახურების საფასური დაგერიცხებათ, თუ შესრულებულია წყალსარგებლობის განრიგით გათვალისწინებული მიწოდების ერთი ოპერაცია მაინც.*
☐	8.4.2. ოპერაციის დაწყებამდე 20 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით ადრე	*მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ოპერაციის გაუქმებაზე და ამ ოპერაციით მიწოდებული წყლის აუთვისებლობის შემთხვევაში, დამატებით დაგერიცხებათ მომსახურების ღირებულების 10%.*

8.5. ☐ **8.1.-8.3. ქვეპუნქტიდან რამდენიმე ქვეპუნქტის ერთდროულად მონიშვნის შემთხვევაში, ასევე, მონიშნეთ მათ შორის ერთი პრიორიტეტული მოთხოვნა:**

პრიორიტეტულია: ☐ 8.1 (ოპერაციის სხვა პერიოდზე გადატანა); ან ☐ 8.2(ოპერაციის დამატება); ან ☐ 8.3 (ოპერაციის გაუქმება).

III. ძირითადი მოთხოვნა:

9. გთხოვთ, ზემოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, მარეგულირებელი კომისიის 2023 წლის 30 აგვისტოს №39 დადგენილებით დამტკიცებული „საირიგაციო წყლის მიწოდების წესებით“ დადგენილ 3 სამუშაო დღის ვადაში, ცვლილება შეიტანოთ ან გააუქმოთ მიმდინარე კალენდარული წლის შეთანხმებულ წყალსარგებლობის განრიგში, წინამდებარე განაცხადის მოთხოვნისა და მის მონაცემებზე დაყრდნობით.

IV. დამატებითი ინფორმაცია:

10. შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ამ განაცხადზე შეტყობინების გაგზავნის ფორმა:
☐ წერილობითი; ან ☐ ელექტრონული.

---

[1] მოცემულ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ოპერაციის სხვა პერიოდზე გადატანაზე ან გაუქმებაზე, ხოლო აღნიშნულ პერიოდში მოწოდებული წყლის აუთვისებლობის შემთხვევაში, მომსახურების საფასურთან ერთად აგრეთვე დაგერიცხებათ გადასახდელი მომსახურების ღირებულების 10%.

[2] იმ შემთხვევაში თუ წყალსარგებლობის განრიგი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ ოპერაციას, ან გსურთ ყველა დარჩენილი ოპერაციის გაუქმება შეავსეთ მხოლოდ 8.4. პუნქტი.

11. განაცხადში მოცემული პირადი ნომერი, ტელეფონი ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი:

11.1.გამოყენებულ იქნეს საირიგაციო წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით:

☐ დიახ, ან ☐ არა;

V. თანდართული დოკუმენტაცია:

12. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში):_____☐;

13. დანართი სულ:_____ფურცელი.

განმცხადებლის/უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:_____.